

# ახალი სარასხული

406 (14) 30 ოქტომბერი, 2019 წ.

## „ლია შეხვედრების“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში შეხვედრები მოეწყო

სამთავრობო პროგრამის „ლია შეხვედრების“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შეხვედრები გრძელდება. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ბესიკ გოფორძემ, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა ბორში, ლახუნდარაში, წყალაფორეთში, ხიდარში, დიდვაკეში, მოლითში, ნებოძირში, წიფასა და ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრები გამართეს. ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას დაგეგმილ პროექტებზე და ხარაგაულის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრნენ. საუბარი შეეხო 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებს, რომლებიც სოფლის მცხოვრებლების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით



იგეგმება. ადგილობრივებმა ყურადღება გაამახვილეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, გაზიფიცირებაზე,

შიდა საუბრო გზის მოწესრიგებაზე, წყალმომარაგების ქსელის გაუმჯობესებასა და სამეურნეო მერქნით სარგებლობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო გუნდი აღნიშნულ საკითხებზე კომპლექსურად მუშაობს და სხვადასხვა უწყების ჩართულობით, მუნიციპალიტეტებში ტყეკაფის თემა ინდივიდუალურად, მოსახლეობისთვის მისაღები პირობებით ნაწილობრივ მოგვარდება. გამართვიდა ქვა-ლორის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც მწვავედ იდგა სოფლად მცხოვრების წინაშე.

„ლია შეხვედრები“ უკვე სამ თვეზე მეტია, მიმდინარეობს და ხარაგაულში 30-მდე სოფელი მოიცავს.

სამთავრობო გუნდი რეგიონის 554 - ვე სოფლის პრობლემებს მოისმენს და მათს გადასაჭრელად ყველა არსებულ რესურსს გამოიყენებს.

## სარაგაულის მუნიციპალიტეტის 103 წლის ქალბატონს იუბილე მიუძღვნა



სარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარის მკვიდრ ელენა არჯევანიძეს 103 წელი შეუსრულდა. უხუცეს ქალბატონს იუბილე მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, მერიის ჯანდაცვისა

და სოციალური სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ მიულოცეს.

„ღვანულადი ადამიანების დაფასება, მათდამი პატივისცემის გამოხატვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. ხარაგაულის მერია, ტრადიციისამებრ, ულოცავს უხუცეს მოქალაქეებს იუბილეს. სასიხარულოა, რომ მუნიციპალიტეტში გვყავს ასეთი ადამიანები. მინდა, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვო ქალბატონ ელენას, კიდევ მრავალი წელი ამშვენებდეს თავის ნაამაგარ კერასა და შთამომავლობას.“-აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ელენა არჯევანიძე სოფელ ლახუნდარაში 80 წლის შვილთან ერთად ცხოვრობს.

დიდი ბებულის იუბილეზე, მშობლიური სახლი შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით ივსება და ამ დღეს ყველა განსაკუთრებულად მხიარულობს.

ელენე ბებოს ხარაგაულის მერიისგან პირად ანგარიშზე 500 ლარი ჩაერიცხა.

## ხარაგაულში სამხატვრო პლენერი ჩატარდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლორეში სამხატვრო პლენერი „გამა-2019“ გაიმართა. ღონისძიება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის იზა ვეფხვაძის ინიციატივით, წლებია, იმართება და მასში მონაწილეობას იღებენ შემოქმედი ადამიანები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

პროექტის განხორციელების და დახურვის ცერემონია ლორეში მემორიალური მუზეუმის ეზოში გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

მხატვრებმა ორი დღის განმავლობაში მოხატეს ხარაგაულის ხედები და ნამუშევრები რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის საჩუქრად გადასცეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კონკურსის მონაწილეებს მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქ-



რები გადასცეს.

სამხატვრო პლენერში ჩვიდმეტი მხატვარი იღებდა მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად, სპეციალურად პლენერისთვის, შეიქმნა ჰიშინი, რომელიც ლიტერატურულ თეატრს საჩუქრად გადასცეს კომპოზიტორმა, მაიკო მანაბელმა და შემსრულებელმა ანსამბლ „ივერის“ სოლისტმა ციური მჭედლიძემ.

ტექსტის ავტორი ლიტერატურული თეატრის დამფუძნებელი იზა ვეფხვაძეა.

ვრცლად სამხატვრო პლენერის შესახებ იხილეთ „ახალი ხარაგაულის“ შემდეგ ნომერში.

## სარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და სოფლებში არსებულ ვითარებას გაეცნო.

მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია. განახლდა სამუშაოები სოფელ გრიგალათში. პროექტის ფარგლებში მოხდებოდა 1 700 - მეტრიანი მონაკვეთი, რომელსაც შპს „საპონენლა“ შეასრულებს. გრძელდება ასევე ვახანის წყლიდან სერბაისის მიმართულ გზის რეაბილიტაცია. „ბორი - 85“ საგზაო მშენებლობას ნოემბრის ბოლოს დაასრულებს.

გარდა ამისა, სოფელ ხუნევეში, მდინარე უხადურაზე, გუმბათის უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს.

განმეორებით ტენდერი გამოცხადდა მოლითის, ბაბის, დეისის, ნუნისის სასოფლო გზებისა და ასევე, წყალაფორეთში საბავშვო ბაღისა და გაბეხაძეების საუბნო გზების რეაბილიტაციის მიზნით. წინადადებების მიღება პირველ ნომერს დასრულდება.



შეხვედრაზე ნიკოლოზ თოფურიძემ მიიღო ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის მიერ შექმნილი წყლის მიღების განაწილების შესახებ.

თათბირზე ივენისის სტიქიით დაზარალებული ოჯახების შესახებაც იმსჯელეს.

მერიის ინფორმაციით, სპეციალურად მოწვეული აუდიტის მიერ დათვლილი და აღწერილია კერძო საკუთრებაზე მიყენებული ზარალი, რომლის საერთო თანხამ 84 000 ლარი შეადგინა.

როგორც ნიკოლოზ თოფურიძე აღნიშნავს, თანხების გაცემა ზამთარში აუცილებლად დასრულდება.

## სარაგაულის საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

იმერეთის მასშტაბით პირველად, 30 კილოვან ელექტროსადგური ვარძის, ხიდრის, წყალაფორეთის, კიცხისა და დაბის N1 საბავშვო ბაღებში დამონტაჟდა.

პროექტი - „ალტერნატიული ენერჯის წყაროები და მისი გავლენა ადგილობრივი თემის განვითარებაზე“ არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ინიციატივით, ეკოგრანტების პროგრამის მხარდაჭერითა და ხარაგაულის თვითმმართველობის თანამონაწილეობით განხორციელდა.

შემაჯავებელი ღონისძიება წყალაფორეთის საბავშვო ბაღში გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, BP-ისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროექტი დაფინანსებულია BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-



ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტების ფარგლებში. პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი სი-თი-სი.

ხარაგაულის ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი აცხადებს, რომ მზის ელექტროსადგურების დამონტაჟებით მნიშვნელოვანი თანხები დაიზოგება, რომელიც მომავალში ბაღების საჭიროებებზე გადანაწილდება.

## სარაგაულის მერიის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით, საბაღეო სტუდიამ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება უკვე დაიწყო.

ნიკოლოზ თოფურიძე ადგილზე გაეცნო სასწავლო პროცესს და პირადი ინიციატივით სტუდიას მუსიკალური აპარატურა საჩუქრად გადასცა.

საბაღეო სტუდიაში მიღება ფუნქციონირებს სამ ასაკობრივ ჯგუფში: 4-დან 7 წლამდე, 7-დან 12 წლამდე და 12 წლის ასაკიდან ზემოთ. მეცადინეობები

კვირაში სამი დღე - ოთხშაბათს, შაბათს და კვირას - ტარდება.

გარდა საბაღეო ხელოვნებისა, თბილისიდან სპეციალურად მოწვეული პედაგოგ-ქორეოგრაფი ინგა თოფლიშვილი მსურველებს შეასწავლის სამეჯლისო

ცეკვებს, ასევე შესაძლებლობა გეძლევათ, დაუფლოთ პლასტიკას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ



ლოკალიზაცია

სიცოცხლე უფლის ჯილდოა, ღვთიური მადლია ადამიანზე გადმოსული, რომელიც ძალზე გააზრებულად, გამიზნულად უნდა გაიხარჯოს.

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე, ვერარას არგებს მამულსა.“

როგორც ერის მამა ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ადამიანმა ისეთი ნერგი უნდა დარგოს,

„რომ ხვალემა მადლობით სთქვას ნანერგითა შენით მარგე.“

და რაოდენ დიდია ბედნიერება, როცა ასეთი ნერგი სიჭაბუკეშივე ახარე, გაზარდე, გააძლიერე მოყვასთა სულის ამაღლებითა თვის, უფლის გზებზე სვლისათვის...

ათი წელია, რაც ნანგრევებიდან წამოიშრება კახორის წმინდა მთაზე სალოცავი და ახალი სიცოცხლით გააბრწყინა ის მადლი, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს. ახალი სიცოცხლე კი სოფელ ფარცხნალში ხარაძეთა გამორჩეული გვარის კარგ შთამომავალს ფრიდონ გუჯეჯიანს უკავშირდება, რომლის სულშიც 21 წლის ასაკში არნახული ძალით გაძლიერდა სურვილი ტაძრის აღდგენისა, რაც უფლის შენეებითა და კეთილადამიანთა თანადგომით რეალობად იქცა 2009 წელს, როცა ტაძრის მშენებლობა დასრულდა და მის წმინდა კედლებში ღვთის სადიდებელი ბლუჯა საწთელი აბღღვრიალდა...

აღნიშნული წერილის იდეა მამინ გამიჩნდა, როცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამორჩეულ სოფელ ფარცხნალს ცნობილი რეჟისორი და ოპერატორი, სტუდია „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი ბატონო გრიგოლ ჩიგოგაძე ეწვია ფილმის გადასაღწევად უცხოელ ახალგაზრდებთან ერთად და მათ ღირსეული მასპინძლობა გაუწია ფრიდონ გუჯეჯიანის დედა, მშობლიურ სოფელსა და თანასოფლებზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ქალბატონმა მარინა ხარაძემ. უშუალოდ მასთან საუბრის ფრაგმენტებით წარვადგენ გავითის მკითხველის წინაშე კახორის სალოცავის წარსულსა და აწმყოს... \* \* \*

„კახორის მთაზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია თამარ მეფის ეპოქაში ყოფილა აგებული. 28 ივლისი, „კვირიკობა“, რომელსაც ხარაგაულის მოსახლეობა „კახორობასაც“ უწოდებს, აქ განსაკუთრებული მადლითა და ღვთის თაყვანისცემით აღნიშნებოდა.“

საინტერესო თქმულებები უკავშირდება „კახორობას“ თურმე წმინდა გიორგის ხატზე ხილულად მოვლენია მთის წვერზე მყოფ ადამიანებს და ღვთის ნება უბრძანებია, რომ ამ მთაზე აეგოთ წმინდა კვირიკისა და მისი დედის, წმინდა ივლიტეს, სახელობის ეკლესია.

მასობის განადგომის ქალბატონი მარინა - ჩემი ბაბუის, ასი წლის ასაკში განადგვოლი სერგო ხარაძის მონათხრობი: ყოველ კვირიკობას, 28 ივლისს, კახორის მთაზე, ეკლესიის ეზოში ირემი შემოდის, სამჯერ დაარტყამდა წრეს ტაძარს და შესანიშნავად დანებდებოდა... შეწირული ირმის თითო ლუკმა ყოველ მომლოცველს ხვდებოდა... ერთხელ ერთ-ერთ სტუმარს, რომელსაც ამ დღეში რიტუალის შესახებ არაფერი სცოდნია, ირემი ტაძრის ეზოში შემოსვლამდე მოუკლავს, ირემი ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

როგორც ამბობენ, ტაძრის აღდგენის შემდეგ ახლო ტყეში ირემი კვლავ რამდენჯერმე უნახავთ...

საუკუნეების მიღმა წმინდა გიორგის სახელზე ეკლესია ძალზე მძიმე პირობებში იგებოდა. გეოგრაფიული მდებარეობისა და უზარობის გამო ხალხი მწკრივში იდგა და ხელიდან ხელში გადადიოდა სამშენებლო ქვა. არ არის გამორიცხული, რომ აქ ყოფილიყო სამონასტრო კომპლექსი და, შესაბამისად, სამონაზვნო ცხოვრება.

გზა, რომელიც ტაძრის ტერიტორიაზე გადის, რკინისჯვარს უკავშირდება. ეს ადგილი კი საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგებასთანა დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გზა ადრინდელ სამცხე - ჯავახეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმოკლესი გზა იყო.



კახორის აღდგენილი ტაძარი

კახორის წმინდა გიორგის ეკლესია უმნიშვნელოვანესი სალოცავი იყო იმერეთის რეგიონის მცხოვრებთათვის. ამაზე მეტყველებს ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული კახორის ტაძრიდან წაღებული ნივთები და ხატები. აღსანიშნავია მაცხოვრის ვერცხლის ხატი, რომელიც 1603 წლითაა დათარიღებული. ხატის უკანა მხარეს იკითხება სამცხის ათაბაგის ოჯახის წევრების ტაძრისადმი შესავედრებელი ლოცვა. ასევეა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, რომელიც ძვირფასი თვლებითაა მოჭედული და წმინდა ნიკოლოზის კარედის ტაძრის ვერცხლის უნიკალური ხატი. ცნობილია ქართველმა ისტორიკოსმა გიორგი ბოჭორიძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ - სარწმუნოებრივი ძეგლების კვლევა - აღწერის საქმეში. მათ შორის, ძალზე საყურადღებოა კახორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან დაკავშირებული მასალები. \* \* \*

ისტორიიდან კარგად გვახსოვს ის პერიოდი, როცა ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ, აშკარა შეტევა დაიწყო ხალხის რწმენაზე, რათა ქრისტიანობა თაყვანისცემა კომუნისტური იდეებისადმი თაყვანისცემით ჩაენაცვლებინათ, რასაც მოჰყვა ტაძრების გრევი - აფეთქება, სინამდინეთა ნაბიღნვა და იავარყოფა... ეს ბედი გაიზიარა კახორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიამაც...

საბედნიეროდ, უფალმა არ განირა ადამიანები და კვლავ იმძლავრა რწმენამ, უფლის გზებით სვლის სურვილმა...

ყველაფერი უფლის მადლიდან მოდის და ბედნიერი ვარ, რომ ამ გზას ადრინადა დაადგა ჩემი პირში ფრიდონ გუჯეჯიანი (უმცროსი), რომელმაც ამქვეყნიურ უმთავრეს მიზნად დაისახა კახორის მთაზე ეკლესიის აღდგენა. \* \* \*

სოფელ ფარცხნალში, კახორის მთის ძირში, არის ჩემი გვარის - ხარაძეების უბანი - განაგრძობს საუბარს ჩემი რესპონდენტი. ამ გვარმა არაერთი მეცნიერი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე აღუზარდა ქვეყანას.

ხარაძეთა გვარის წარმომადგენლები ეკლესიის მსახურნი იყვნენ, ათეული წლების განმავლობაში წინაგდნენ კახორისა და ფარცხნალის ტაძრებში. ეკლესიისადმი უანგარო მსახურების გამო ხარაძეთა გვარის შვილები უბატონო, თავისუფალი გლეხის სტატუსით სარგებლობდნენ.

ფარცხნალი ჩვენი უდიდესი სიყვარული და ჩვენი „ადგილის დედა“ გული მტკეპა, რომ ადრე უბანში ოცდასამი კომლი ცხოვრობდა, ახლა კი ზამთარში 2-3 ოჯახი რჩება და სოფლის მონატრებას მხოლოდ ზაფხულის ორიოდე თვით ვივსებთ.

ეს სიყვარული ბუნებრივად გადაიზარდა ჩემს შვილში - ფრიდონ გუჯეჯიანში. ფრიდონი მოესწრო ჩემს მცოვან ბაბუას, რომელიც სოფელში ჭკუასაკითხავ კაცად ჰყავდათ მიჩნეული. მისგან მოისმინა თქმულებები კახორის შესახებ. ბავშვობა დედულეთში, კახორისა და მთაში აქვს გატარებული და ახლაც დიდი სიყვარული ამიძრავებს ფარცხნალის მიმართ.

ძვირფასო მკითხველო! ახლა კი თავს უფლებას მივცემ, მშვენიერ ქალბატონს საუბარში ჩავეზიარო და თხოვა მე განვავრძო: 21 წლის ჭაბუკი იყო ფრიდონ გუჯეჯიანი, როდესაც კახორის მთაზე ტაძრის აღდგენა განიზრახა. წმინდა გიორგის ტაძრიდან მიმოფანტული ნანგრევი ქვების გარდა საძირკველზე აღარაფერი იყო დარჩენილი. \* \* \*

ლი. პროფესიით მშენებელმა ფრიდონის მამამ, ავთანდილ გუჯეჯიანმა, რომელიც ადრე საკავშირო მნიშვნელობის სამშენებლო ტრესტის მმართველი იყო, გაითვალისწინა ყველა პრობლემა (გზა, სამშენებლო მასალა, წყალი, მუშახელი, ელექტროენერგია, ფინანსები) და ურჩია შვილს თავის შეკავება, მაგრამ ამოდ. ღვთის მადლით შთაგონება შეუვალი აღმოჩნდა. ჭაბუკმა გაყიდა ჯერ ერთი, მერე მეორე საკუთარი ავტომობილი. თანამდგომელები გაიჩინა - დედის ძმა, ბეგლარ ხარაძე, თავისი დიდი სამეგობრო, ენთუზიასტი და შრომისმოყვარე ფარცხნალები და საქმე დაიძრა...

2000 წელს დაიწყო კახორის მთის წვერამდე მისასვლელი გზის მშენებლობა. მთაში გაიჭრა ორი კილომეტრი სიგრძის გზა. ტაძრის პროექტირება უსასყიდლოდ განახორციელეს შპს „არქიტექტის“ არქიტექტორ - კონსტრუქტორებმა.

ტაძრის ფუნდამენტი აკურთხა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის იმჟამინდელმა მღვდელმთავარმა მეუფე დანიელმა.

2001 წლიდან ტაძრის მშენებლობისათვის დაიწყო ქვის მოჭრა. კლიმატურ, გეოგრაფიულ და სხვა სირთულეებთან დაკავშირებით მშენებლობა უმთავრესად ზაფხულის მშრალ ამინდში მიმდინარეობდა. ამიტომ ეს პროცესი 7-8 წელი გაგრძელდა. მშენებლობაში ინტენსიურად ჩაერთო სოფელ ვანის მოსახლეობა. ადრინა დიდიან გვიან დაემდეგ მუხლწაუხრელად ექიბებოდნენ ამ სამშენებლო საქმეს. ტაძრის მშენებლობა დასრულდა 2009 წელს.

რადგან კახორის მთაზე საუკუნეთა განმავლობაში 28 ივლისი აღინიშნება კვირიკობის დღესასწაულის სახელით, 2016 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა - კურთხევით, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფე მელქისედეკმა კახორის მთაზე საძირკველიდან აღდგენილი წმინდა გიორგის ტაძარი აკურთხა წმინდა კვირიკისა და ივლიტეს სახელზე.

პიროვნების ქმედებას უმეტესად გენი, ჯიმ-ჯილაგი და ძარღვები მორაული სისხლი რომ წარმართავს, ეს ყველას კარგად მოგეხსენება. ბუნებრივია, ასეა გუჯეჯიანთა შთამომავლის შემთხვევაშიც. ფრიდონის ბაბუა, ფრიდონ გუჯეჯიანი (უფროსი), ცნობილი მშენებელი და არქიტექტორი იყო. მისი პროექტითაა აგებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა, პროფკავშირების სასახლე, მანვე დააპროექტა დიდი რომანოსტის, კონსტანტინე გამსახურდიას, კოლხური კომპი და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი, მაგრამ თავის საქმიანობაში ყველაზე დიდ მიღწევად თვლიდა, რომ კომუნისტების მმართველობის პერიოდში სწორედ მისი ძალისხმევით შეიქმნა საქართველოში ძველად დაცვის საზოგადოება.

ფრიდონ გუჯეჯიანი - უმცროსი საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს, თუმცა სიამაყეს ვერ ფარავს, რომ ის სვანეთის მახვილს შთამომავალია, რომ მისი დიდი ბებუა ამბუვა სვანეთის განმანათლებლები იყვნენ და ღირსეული ღვაწლისათვის მთავრობისგან მაღალი ჯილდოებიც ჰქონდათ მიღებული.

აქვე მინდა, ხაზი გავუსვა ერთ ნიშანდობლივ ფაქტს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2016 წელს კახორის მთაზე სვანი ჭაბუკის მიერ აღდგენილი ტაძარი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, წმინდა კვირიკესა და ივლიტეს სახელზე ეკურთხა. ცნობილია, რომ სვანეთში ყველაზე ძლიერადაა მიჩნეული წმინდა კვირიკეს სალოცავი და ოცდარვა ივლისს „კვირიკობის“ რიტუალი ისეთივე ძალმოხილვითაა აღევლინება, როგორც ჩვენი, იმერეთში, კახორის მთაზე.

გარკვეულ ღვთიურ კავშირს ვხედავ მამით სვანი და დედას იმერელი ჭაბუკის ზენაარის მადლით შთაგონებასა და ამ ფაქტს შორის.

შთამომავალს ღირსეულად უპყრია ხელთ წინაპართა ტრადიციების სადაცემა. ფრიდონ გუჯეჯიანი - უმცროსი, რომელსაც საერთაშორისო ეკონომიური განათლება აქვს მიღებული, სანიშნო ოჯახის მამაა. ხარაგაულელ მულე ხელოვნებათმცოდნე თინათინ კამკამიძესთან ერთად, ის ოთხ შვილს უზრდის მამულს, რომელთაგან ანა ჩვიდმეტი წლისაა, ნიკოლოზი - თხუთმეტის, გიორგი - ათისა და გაბრიელი - ოთხის.

ვუსურვოთ, რომ ამ წმინდა ოჯახსა და მის შთამომავალთ უწინამძღვრის წმინდა გიორგის, წმინდა კვირიკესა და ივლიტეს მადლმა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

მერი გიორგიძე

სარაგაულში უწყვეტი წყარომარაგებისთვის პროექტი მზადაა



ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და გავრთიანებული წყარომარაგების კომპანიის თანამშრომლებს შორის შეხვედრა გაიმართა.

მხარეებმა ხარაგაულში 24-საათიანი წყარომარაგების აღდგენაზე ისაუბრეს.

კერძოდ, კომპანიის უკვე მზად აქვს პროექტები, რომელთა მიხედვითაც ე.წ. „წყალსადენის“ ტერიტორიაზე ახალი ჭაბურღილების მოწყობა და სტიქიით დაზიანებული ლეღვის წყლის მაგისტრალის აღდგენა მოხდება.

გავრთიანებული წყარომარაგების კომპანიის აქტივების სამსახურის უფროსის,

ნიკა კახიძის, ინფორმაციით, ხარაგაულის უწყვეტი წყარომარაგებისთვის ლეღვის სათავე-ნაგებობის აღდგენასთან ერთად, აუცილებელია ალტერნატიული ჭაბურღილების მოწყობა, რადგან, როგორც ცნობილია, ძლიერი ნალექის დროს ლეღვის წყალი იმდენად, რის შემდეგაც მოსახლეობას წყარომარაგება უწყდება.

რაც შეეხება აღნიშნულ პრობლემას, კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, საპროექტო ორგანიზაცია ვერ მივიდა იმ წერტილამდე, საიდან ხდება ლეღვის წყლის ამღვრევა. რეალურად ეს არის ბუნებრივად, მიწისქვეშ კარსტული წარმოშობის

წყალი, რომელსაც საიდანაც ემატება უხვი ნალექის შედეგად მიიდან წამოსული ნიაღვრის წყალი და ხდება ამღვრევა. გამომდინარე აქედან, კომპანია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად თანხმდება შემდეგზე: ხარაგაულის უწყვეტი წყარომარაგებისთვის იმუშავებს ორი სათავე-ნაგებობა, უხვი ნალექის დროს გაითიშება ლეღვის სათავე და ჩაირთვება ხარაგაულის ალტერნატიული ჭაბურღილი.

ამ ეტაპზე ორ მხარეს შორის მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური დეტალების დაზუსტება.

სარაგაულის „ეტალონი მოსწავლე“ ნონა ყიფიანი გახდა

2019- 2020 სასწავლო წლის განმავლობაში ინტელექტუემპიონატი „ეტალონი“ ტრადიციულად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის „ეტალონელებს“ გამოავლენს. კონკურსი სამ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 75 მოსწავლე გახდა გამარჯვებული. ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაბის მე-3 საჯარო სკოლაში გაიმართა, სადაც ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა. ღონისძიების დასაწყისში პროექტის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლებასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებს. გოჩა ტყეშელაშვილმა 2018-2019 სასწავლო წლის საქართველოს „ეტალონი მოსწავლეს“, სპლა ებანოიძეს, გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცა და სკოლის ( წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია) ღირსეული წარმომავლისთვის „ოქროს ფონდის“ ნევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადასცა.



მოსწავლე მარელის საჯარო სკოლის მოსწავლე ნონა ყიფიანი გახდა, მეორე ადგილი წილად ხვდა ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლეს ლუკა გაგოშიძეს, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ გელაშვილსა და იაკობს.

რო სკოლის მოსწავლეს ლუკა გაგოშიძეს, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ გელაშვილსა და იაკობს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურაძის, ინიციატივით, პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი ჯილდო გადაეცემა. გამარჯვებულ მოსწავლე ნონა ყიფიანს ფასიანი საჩუქარი გადაეცა, ბალდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის კობა ლურსმანაშვილის სახელით.

ღონისძიებას ხარაგაულის საკრებულოს დეპუტატები, მერის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინა ვეფხვაძე, დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი უანა ნემსაძე, სკოლის დირექტორები და პედაგოგები დაესწრნენ.

შეგახსენებთ, რომ ნონა ყიფიანი ეროვნულ ინტელექტუემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 2020 წელს თბილისში გაიმართება.

ქავ შანიძე

### ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური, არსებული რესურსის ფარგლებში, აქტიურ პოლიტიკას ატარებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მოქმედებს ექვსი ძირითადი და 22 ქვეპროგრამა.

ნანა კიკნაძემ ყურადღება გაამახვილა თითოეულ პროგრამასა და მათზე გახარულ თანხებზე. მისი თქმით, მიმდინარე წლის 9 თვეში სოციალური მიმართულებით დახარჯულია 415. 2 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ახალშობილთა ოჯახების პროგრამაში მოხდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სამი და მეტი ტყუპის შექმნის შემთხვევაში, ერთჯერადად 1500 ლარით დახმარებას. მისივე ინფორმაციით, წყალაფორეთში, ალექსანდრე კავილაძის ოჯახში, უკვე დაიბადა სამი ტყუპი, რომელსაც თანხა ოქტომბრის ბოლომდე ჩაერიცხება. რაც შეეხება, დევნილთა ყოველთვიურ დახმარებას, 20 ოჯახს გაენია, რისთვისაც ბიუჯეტიდან დახარჯულია 2940 ლარი.

მოსხენებითი ბარათის გაცნობის შემდეგ, დეპუტატებმა საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს. წყალაფორეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა მალხაზ ფხალაძემ ყურადღება უბნის ექიმების თემაზე გაამახვილა. დეპუტატი ამბობს, რომ მის თემში ამ კუთხით სერიოზული პრობლე-



მა. „ექიმს სამუშაო გრაფიკი და ნომერიც კი არ აქვს განთავსებული საექიმო ამბულატორიაზე, რომ მოქალაქე დაუკავშირდეს და დაადგინოს, როდის ექნება მომსახურების მიღების შესაძლებლობა. სამედიცინო ცენტრში ყოველდღიურად ექთანაც არაა.“-განმარტავს დეპუტატი.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი დაინ-

ტერესდა, მიმდინარე წელს საახალწლოდ გაიცემა თუ არა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე დახმარება. დეპუტატმა ბაზალეთის თემში არსებულ საექიმო ამბულატორიაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აქ სასმელი წყლის პრობლემა სასწრაფოდ მოსაგვარებელია.

ნანა კიკნაძე ამბობს, რომ საახალწლო დახმარებების გაცემაზე პასუხი ნოემბერში გახდება ცნობილი. აქვე აანონსებს, რომ ბაზალეთის სამედიცინო ამბულატორიის რემონტი გათვალისწინებული 2020 წელს იქნება.

უფრო ვრცლად დეპუტატები მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის შესახებ 4 ნოემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

### „სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღეს“ ხარაგაულის გენდერული საბჭო გამოეხმაურა

ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭო „სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღეს“ გამოეხმაურა და სოფელ ნებოძირში ქალებს შეხვდა. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ესაუბრა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა იზა ვეფხვაძემ რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის სპექტაკლი „მასხოვს ხარაგაულის სევედიანი სადგური“ წარმოადგინა.

ეს დღე საზოგადოებას შეახსენებს, თუ რამდენად ფასეულია ქალების შრომა და მოუწოდებს, ღირსეულად დააფასონ ისინი.



### ხარაგაულში იურიდიული დახმარების სამსახური იმუშავებს

მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს 10 წლის ვადით, უსასყიდლო უზურფრუქტის წესით, ფართი გადაეცა. აღსანიშნავია, რომ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს უფასო იურიდიულ დახმა-

რებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისათვის. სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, განმარტებით, აღნიშნული სამსახური ბენეფიციარებს სამართლებრივ მომსახურებას უწევს იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით. ამასთან, მომსახურების ეფექტურად და დროულად მისაღებად

აუცილებელია იურიდიული დახმარების ცენტრის განთავსება მუნიციპალიტეტში. ხარაგაულში სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციონირებისათვის მერიის შენობაში ოთახის გადაცემას საკრებულომ მხარი დაუჭირა.

თამარ მაღრაძე

### გორის სკოლა-პანსიონში მღვაწე სკოლაგაფელი ჯღჯღის დაწესებულება ჰალაგის გაერთიანებას გადაეცა

დეპუტატებმა ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლაგაფელი დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ ბორის სკოლა-პანსიონში მდებარე საბავშვო ბაღის გადაცემასთან დაკავშირებით იმსჯელეს. საკითხი ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსმა მაია ალავიძემ წარადგინა. მისი თქმით, ბორის სკოლა-პანსიონში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, რომელიც არ

შედის ხარაგაულის სკოლაგაფელი დაწესებულებათა გაერთიანებაში. შესაბამისად, მასზე დღემდე არ ხორციელდება სკოლაგაფელი დაწესებულებებზე განსაზღვრული სტანდარტები. სავარაუდოდ, ასეთი ფორმით მოქმედი საბავშვო ბაღი ვერ გაივლის ავტორიზაციას, რომელიც უახლოეს პერიოდში დაგეგმილი.

„იმისათვის, რომ ბორის სკოლა-პანსიონ-

თან არსებული საბავშვო ბაღი შეუერთდეს ბაღების გაერთიანებას, საჭიროა ინფრასტრუქტურულად გამართული შენობა, რომელიც დააკმაყოფილებს სტანდარტებს. საუბარია 227 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით) არსებობის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით,“ - ნათქვამია განცხადებაში.

ალავიძემ აქვე განმარტა, რომ ბორის

სკოლა-პანსიონის ტერიტორიაზე „დღის ცენტრმა“ ხუთი თვეა, ფუნქციონირება შეწყვიტა. ეს ფართი კი სრულიად საკმარისი იქნება საბავშვო ბაღის განსათავსებლად.

დეპუტატთა გადაწყვეტილებით, ბორის სკოლა-პანსიონში მდებარე საბავშვო ბაღი სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით, ბაღების გაერთიანებას გადაეცა.

### ბრუისის უბანს შესაძლოა, სოფლის სვაცუსი მიენიჭოს

სოფელ ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ღარიბხევიდან ბრუისის უბნის გამოყოფისა და მისთვის ამავე სახელწოდებით სოფლის სტატუსის მიენიჭების თაობაზე იმსჯელეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე. საკითხი იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილმა წარმოადგინა. მისი განმარტებით, აღნიშნული წინადადება სამთავრობო კომისიას საკრებულოს მიერ მოწონების შემდეგ გადაეგზავნება.

ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ბრუისის ისტორიულად მოიხსენიებოდა, როგორც

ცალკე სოფელი, თუმცა იურიდიულად რეგისტრირებული სოფელი არასოდეს ყოფილა. ბრუისის უბანში ამ ეტაპზე მუდმივად 11 ოჯახი ცხოვრობს, რომელიც სოფელში განხორციელებული ვერცერთი სიკეთით ვერ სარგებლობს, მიზეზი კი მისი გეოგრაფიული მდებარეობაა. ამიტომ მოსახლეობის მოთხოვნაა, ამ უკანასკნელს სოფლის სტატუსი მიენიჭოს.“ - აცხადებს დეპუტატი.

დეპუტატებმა წარმოდგენილი წინადადება მოიწონეს.

მიენიჭება თუ არა ბრუისის სოფლის სტატუსი, ამის შესახებ სამთავრობო კომისია იმსჯელებს.

თამარ მაღრაძე

### დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა. საკრებულოს სხდომაზე საკითხის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა ისაუბრა. როგორც აღინიშნა, მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა 18 290 ლარით შემცირდა და 6 027 451 ლარით განისაზღვრა. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯებში ვალდებულებების დასაფარავად დამატებით საჭიროა 35 000 ლარი და სათნოების სახლის სუბსიდიის ხარჯებში კვების ხარჯების შესავსებად - 4 000 ლარი.

ასევე დამატებითი 45 710 მიიღო ა(ა)იპ

„დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ“.

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილ ცვლილებაში საუბარი ეხებოდა მერიის ბალანსზე არსებული ავტომობილის კაპიტალურ რემონტს, რომლისთვისაც 10 000 ლარი უნდა დაიხარჯოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 16 770 420 ლარით, ხოლო გადასახადები - 21 459 820 ლარით.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი მუხლობრივად უყარეს. დეპუტატთა გადაწყვეტილებით საბიუჯეტო ცვლილება დამტკიცდა.

თამარ მაღრაძე

### „ჩვენს ღვწავადავით“ - ღონისძიება სთნოვასის სახლის პენეფიციარათათვის

„ჩვენს ღვწავადავით“ - ამ სლოგანით ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, სათნოების სახლის ბენეფიციარებისთვის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა იზა ვეფხვაძემ გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სპექტაკლი - „ამ მიწის ბედი ჩემი ბედი“ - წარმოადგინა.

მერის მრჩეველის გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, ინგა ბერაძის განმარტებით, მსგავსი ტიპის პროექტები ხანდაზმულთა უნარ-ჩვევების ამაღლებას, მათს სოციალურ და

კულტურულ აქტივობებში ჩართვასა და თაობათა შორის დიალოგს ემსახურება. მისივე თქმით, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოსგან და ასევე საზოგადოების თითოეული წარმომადგენლისგან ძალიან დიდ ყურადღებას საჭიროებენ.

ღონისძიებას გენდერული საბჭოს წევრები, სათნოების სახლის ბენეფიციარები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპექტაკლის ბოლოს ბენეფიციარებთან ერთად საბჭოს წევრებმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და საზეიმო ვითარებაში ტორტი გაჭრეს.

